სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

26 აგვისტო 2024

N 21/9132

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას“
ელ. ფოსტა giec@giec.ge

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №7867 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ბჟუჟა ჰესის დამატებითი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ, რომ **„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.**

ამასთან, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი თევზსავალის GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას;
- shp ფაილებში წარმოდგენილი სათავე ნაგებობა, ასევე, სადერივაციო არხისა და სადაწნეო მილსადენის დერეფანი არ ემთხვევა 2018 წლის 10 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-663) გათვალისწინებულ საპროექტო ტერიტორიას, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- shp ფაილებში წარმოდგენილი ტერიტორია (20 263 მ^2) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ოზურგეთის სატყეო უბნის შემოქმედის სატყეოს (კვარტალი №14). აღნიშნული ტერიტორია ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 26.33.23.119). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო

ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სკრინინგის პროცედურების პარალელურად დაგეგმილია სატყეო უბანზე ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოთხოვნა და კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო პროცედურების გავლა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკრინინგის განცხადების 2.3 თავში, მოცემული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებები, ასევე 2018 წლის 10 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები არარელევანტურია წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშისათვის. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობა და აღნიშნული საქმიანობის შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2010 წლის 7 ივნისის №ი-268 ბრძანებით დამტკიცებული №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, განსაზღვრული იყო რაბისებური თევზსავალის მოწყობა, ხოლო 2018 წლის 10 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება №2-663) თანახმად, რომლის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა №ი-268 ბრძანება, გათვალისწინებული იყო რაბისებური თევზსავალის ნაცვლად ე.წ. საფეხურებიანი თევზსავალის მოწყობა. წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „ამ ეტაპზე თევზსავალის ტანის მოწყობა დაწყებულია არსებული (პირველადი) საპროექტო პირობების ფარგლებში“, თუმცა, ვერ დგინდება ტერიტორიაზე თევზსავალის არსებობისა და ფუნქციონირების საკითხი;
- სკრინინგის განცხადების 3.2 თავში წარმოდგენილია ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში, სადაც მოცემულია მდ. კალოვას მინიმალური ჩამონადენის, ასევე, სადერივაციო არხის გადამკვეთ ხევებზე (3 ხევი) წყლის ნაკადის მაქსიმალური ხარჯისა და გარეცხვის ხარჯის შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ინფორმაციის სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9132-21-2-202408261436

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE